



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არაგვი

არაგვი, მდინარე აღმ. საქართველოში, ყაზბეგის, დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. მტკვრის მარცხ. შენაკადი (ერთვის ქ. მცხეთასთან). სიგრძე 112 კმ, აუზის ფართ. 2740 კმ². ა-ის სისტემას ქმნის მდ-ები – მთიულეთის (თეთრი) ა., გუდამაყრის (შავი) ა., ხევსურეთის ა. და ფშავის ა. მთავარია მთიულეთის ა., რ-იც იწყება ყელის ვულკ. მთიანეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ა. გემო და შუა დინებაში მთის მდინარეა, ქვემოთში მუხრან-საგურამოს ვაკეზე იშლება. შესართავთან ერთმანეთისაგან გამოყოფს სხალტბისა და საგურამოს ქედებს. ა. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის, აგრეთვე მყინვარებისა და მარადი თოვლის წყლით. მიწისქვეშა წყალი მდინარის სხვადასხვა ნაწილში წლ. ჩამონადენის 40–70%-ს შეადგენს, წვიმისა და თოვლის წყალი კი ცალ-ცალკე 15-იდან 30%-მდე აღწევს. წყალდიდობა იწყება გაზაფხულზე და შუა აგვ-მდე გრძელდება. შემოდგომაზე ხშირია წყალმოვარდნა. ზამთარში წყალმცირეა. ა-ის ჩამონადენი გაზაფხულზე წლიური ჩამონადენის 39,3%-ს შეადგენს, გაზაფხულში – 30,8%, შემოდგომაზე – 19,5%-ს, ზამთარში – 10,4%-ს. არ იყინება. ა-ს მტკვარში წლიურად 1,8 მლრდ. მ³ წყალი შეაქვს. იყენებენ მუხრან-საგურამოს ვაკის სარწყავად. ა-იდან გაყვანილია მუხრანის არხი. ა-ის ქვემო დინების ფარგლებში გამოედინება ბულაჩაურის, ნატახტრისა და საგურამოს ფილტრატები, რ-ებიც თბილისს სასმელი წყლით ამარაგებს. ა-ის ხეობაში, დაბა ჟინვალთან, აგებულია ჟინვალის ჰიდროკვანძი (ჰესი და წყალსაცავი), რ-იც დიდ როლს ასრულებს თბილისის წყალმომარაგებაში. ა-ის ხეობაში გადის საქართველო-სამხ. გზა.

ი. აფხაზავა
